



საქართველოს მთავრობის განკარგულება

N621 2017 წლის 31 მარტი ქ.თბილისი

ქ. თბილისში მდებარე ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის
ძეგლის სტატუსის მოხსნის შესახებ

1. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, რ. თაბუკაშვილის ქ. №27/ბროსეს ქ. №3-ში, შავთელის ქ. №17-ში, ჩახრუხადის ქ. №27-სა და მირზა-შაფის ქ. №16-ში მდებარე და ამჟამად უკვე დემონტირებულ ობიექტებს მოეხსნას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

2. დაევალოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო), ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სახელმწიფო რეესტრში და სამინისტროს ინტერნეტგვერდზე შესაბამისი მონაცემების ასახვა.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
ტელ.: 2 98 74 30



070183704357717

შემოსვლის N 5423
03 09 2017
საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტრო